კსდრ-ს დედაქალაქ ფხენიანში ცხოველმყოფელი სამების სახელობის ტაძრის კურთხევის მეთხუთმეტე წლისთავი აღინიშნა

2021 წლის 13 აგვისტოს ფხენიანის ცხოველმყოფელი სამების სახელობის ტაძარში ტაძრის კურთხევის 15 წლისთავისადმი მიძღვნილი სადღესასწაულო საღვთო ლიტურგია აღესრულა.

ღვთისმსახურების შემდეგ მღვდელმა ვლადიმერ ჩანმა საპატრიარქოს სამხრეთ-აღმოსავლეთის ეგზარქოსის, სინგაპურისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ-აზიის მიტროპოლიტ სერგისა და კორეის

მთავარეპისკოპოს თეოფანეს მისალმება გააჟღერა, რომლის ადრესატები იყვნენ კსდრ-ის (კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა) მორწმუნეთა საბჭოს ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე კან ჩჟი იონი და მართლმადიდებელი კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ იუ იონ ნიონი, კლირიკოსები და სამების სახელობის ტაძრის მრევლი.

საპატრიარქოს სამხრეთ-აღმოსავლეთის ეგზარქოსმა აღნიშნა, რომ ეს დიდებული ტაძარი რუსულ-კორეული მეგობრობის ხილულ სიმბოლოს წარმოადგენს. მთავარეპისკოპოსმა თეოფანემ ლოცვით უსურვა მართლმადიდებელი კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ იუს, კლირიკოსებსა და სამების სახელობის ტაძრის მრევლს გააგრძელონ გულმოდგინებით და ღვთისმოსავი მოშურნეობით საკუთარი რწმენისებრ ქრისტეს ეკლესიის სასიკეთოდ მსახურება.

თავის მხრივ, კსდრ-ის მართლმადიდებელი კომიტეტის თავმჯომარემ ვიქტორ იუმ, მადლიერება გამოხატა თბილი მისალოცი სიტყვებისთვის და აღნიშნა, რომ მართლმადიდებლური ტაძარი დედაქალაქის რაიონ ჩონბეკში – შეუფასებელი საჩუქარია კსდრ-ის სახელმწიფოს ხელისუფლებისგან ფხენიანში მცხოვრები რუსი მართლმადადებელი ქრისტიანებისთვის. ტაძარი გახდა მართლმადიდებელი ქრისტიანების სულიერი ცხოვრების ცენტრი, რაც განაპირობებს რუსი და კორეელი ხალხის თანამშრომლობისა და მეგობრული ურთიერთობების განმტკიცებას.

კსდრ-ში რუსეთის ელჩმა ა. ი. მაცეგორამ შეკრებილ საზოგადოებას გაუზიარა მოგონებები ტაძრის შექმნის ისტორის შესახებ, განსაკუთრებულად აღნიშნა რუსი გმირის, ფხენიანში რუსეთის ყოფილი ელჩის ა. გ. კარლოვის დამსახურება. ბევრწილად სწორედ მისი ღვაწლით დაბრუნდა კვლავ კორეის მიწაზე მართლმადიდებლური სარწმუნოება.

***

2006 წლის 13 აგვისტოს სმოლენსკისა და კალინინგრადის მიტროპოლიტმა კირილემ (ამჟამად – მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქი) ფხენიანში ცხოვლემყოფელი სამების საპატივცემულოდ აგებული ტაძრის კურთხევა აღასრულა.

2011 წელს სამების სახელობის ტაძრის კურთხევის ხუთი წლისთავის ზეიმი ეგორევსკის მთავარეპისკოპოს მარკოზის მეთაურობით ჩატარდა.

2016 წლის აგვისტოში ბოგოროდსკის ეპისკოპოსი ანტონი ეწვია კსდრ-ს, სადაც მონაწილეობა მიიღო ტაძრის კურთხევის 10 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებში.

2021 ეპიდემიოლოგიურმა შეზღუდვებმა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას ფხენიანში დელეგაციის გაგზავნის საშუალება არ მისცა. ტაძრის კურთხევის 15 წლისთავი აღინიშნა საღვთო ლიტურგიით, რომელიც კორეის კლირიკოსებმა აღასრულეს.

ცხოველმყოფელი სამების სახელობის ტაძარი კსდრ-ს დედაქალაქის ერთ-ერთ მშვენებას წარმოადგენს. კსდრ-ს მორწმუნეთა საბჭოსა და მართლმადიდებლური კომიტეტის ხელმძღვანელობის, სამების სახელობის ტაძრის მღვდელმსახურებისა და მშრომელების, კსდრ-ში რუსეთის ფედერაციის საელჩოს თანამშრომლების ღვაწლით ტაძარი მრავალი ადამიანისთვის მიმზიდველ ადგილად და რუსი და ჩრდილოეთ კორეელი მოძმე ერების სულიერი კავშირების განმტკიცების ხილულ მოწმობად იქცა.

Патриархия.ru/

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87875/